შემოსავლების
სამსახური

ბრძანება N 15866

17/06/2020

„ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგის ნორმების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2018 წლის 6 აგვისტოს №20839 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგის ნორმების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2018 წლის 6 აგვისტოს N20839 ბრძანებაში შეტანილი იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული:

ა) „ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგის ნორმების შესახებ დებულების“ (დანართი №1) მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“ ქვეპუნქტი:

„ნ) ბენზოლი – ნავთობის დისტილატი, რომელიც სეს ესნ-ის შესაბამისად კლასიფიცირდება 2902 20 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში.“.

ბ) „ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ნორმები“ (დანართი №2) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი კომისიის 2020 წლის 19 მაისის N3 სხდომის ოქმი (რეგისტრაციის N54625-21-15 11.06.2020წ).

ლევან კაკავა

სამსახურის უფროსი

„დანართი №2

ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ნორმები

ოპერაციების დასახელება	დანაკარგი წონიდან %-ში
ბენზინზე	
საზღვაო გადაზიდვები	0.35
სარკინიგზო გადაზიდვები	0.24
საავტომობილო გადაზიდვები	0.12
რეზერვუარში შენახვა (მიწისზედა რეზერვუარში 1 თვეზე მეტი ვადით შენახვის გარდა	0.25
მიწისზედა რეზერვუარში შენახვა 1 თვეზე მეტი ვადით	0.35
ნედლ ნავთობზე	
სარკინიგზო გადაზიდვები	0.04
შენახვა	0.077
დიზელზე	
საზღვაო გადაზიდვები	0.35
სარკინიგზო გადაზიდვები	0.1
საავტომობილო გადაზიდვები	0.05
რეზერვუარში შენახვა	0.07
ნავთზე	
საზღვაო გადაზიდვები	0.35
სარკინიგზო გადაზიდვები	0.11
საავტომობილო გადაზიდვები	0.06
რეზერვუარში შენახვა	0.1
მაზუთზე	
სარკინიგზო გადაზიდვები	1.05
საპოხ ზეთზე	
სარკინიგზო გადაზიდვები	0.10
ბენზოლი	
სარკინიგზო გადაზიდვები	0.24 “